გურამ ჯოლია
დალი სეხნიაშვილი

ინტერნეტი და საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმაცია

თანამედროვე სამყაროს ძირითადი ფუნდამენტები (ეკონომიკა, პოლიტიკა და იდეოლოგია) საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა. კაცობრიობის ისტორიამ ნათლად დაადასტურა, რომ ეკონომიკაში არსებული ფორმებიდან ყველაზე ეფექტიანი ბაზარია, პოლიტიკაში _ დემოკრატია, იდეოლოგიაში კი _ სამოქალაქო საზოგადოება. ამასთან, საზოგადოების განვითარების კანონებს ისეთივე ობიექტური და მკაცრი ხასიათი აქვთ, როგორც ბუნების კანონებს _ მოგვწონს თუ არა, ისინი მაინც მოქმედებენ.

თანამედროვე სამყაროში აქტიურად შემოიჭრა ადრე არარსებული, სრულიად უცნობი და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების მქონე ინფორმაციული ტექნოლოგიები (უმთავრესად, მხედველობაში გვაქვს ინტერნეტი), რაც ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე საყურადღებო ზემოქმედებას ახდენს.

წარმოშობისთანავე ინტერნეტმა ,,სოციალური ინსტიტუტის'' სტატუსი დაუბრკოლებლად შეიძინა. სავარაუდოდ, მომავალში, იგი საზოგადოების მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი კი არა, მისი ბედი გახდება.

ინტერნეტმა შექმნა ახალი, გლობალური ელექტრონული (ვირტუალური) სივრცე, რომელშიც მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესები ბაზარზე, დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე მისი ზემოქმედებით ფასდება. ამიტომ, სასურველია ვიცოდეთ რა გველის მომავალში. ინტერნეტის გავლენით საზოგადოება კიდევ უფრო დემოკრატიული, ლიბერალური ან თვითრეგულირებადი გახდება, თუ სახელმწიფოს მიერ მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება? განაცალკევებს ადამიანებს, შეარყევს სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტურ საფუძვლებს, გაამწვავებს კონკურენციას, გააუქმებს თავისუფალ ფასწარმოქმნას და ა.შ., თუ არა?

ეკონომიკაში ინტერნეტის გამოყენებაზე რევოლუციურ იმედებს ამყარებენ _ შემცირდება წარმოების ხარჯები, ბიზნესის ახალი, უფრო ეფექტიანი და ზემომგებიანი ფორმები წარმოიშობა და ა.შ. თუმცა, ჯერჯერობით, სარწმუნო სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს: ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ინტერნეტ-კომპანიები ძალიან მომგებიანია, სხვები პირიქით ფიქრობენ და მათ წამგებიანობაზე ამახვილებენ ყურადღებას. მართლაც, სამი წლის წინ ინტერნეტ-კომპანიების აქციების კურსი არნახულად შემცირდა, გაქრა სიახლის ეფექტიც, რადგან ინტერნეტი გართობის საშუალებიდან პროფესიულ საქმიანობად გადაიქცა.

დღეს ინტერნეტ-ეკონომიკის სამომავლო პერსპექტივების შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი დომინირებს: პესიმისტური და ოპტიმისტური.

«ინტერნეტ-ეკონომიკა», იგივე «ინტერნეტ-ინტელექტუალური» ეკონომიკა, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ცივილიზებული საზოგადოების ეკონომიკაა. ხშირად, მას «ვირტუალურ ეკონომიკას» უწოდებენ, რაც ზუსტად გამოხატავს მის უკიდურესად გლობალურ-ინტელექტუალურ ბუნებას. დღეს როგორც სპეციალისტებს, ისე ფართო საზოგადოებას ერთნაირად აინტერესებს ინტერნეტ-ტექნოლოგიების დანერგვისა და ფართოდ გავრცელების მოსალოდნელი გლობალური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: «ინტერნეტ-ეკონომიკის" გავრცელება ნიშნავს თუ არა ტრადიციულ ეკონომიკასთან ღრმა უფსკრულის გაჩენას, ბიზნესის ზოგიერთი დარგის (მაგ., საშუამავლო სფეროს) ან ისეთი მძლავრი ინსტიტუტებისა და მექანიზმების გაქრობას, როგორიცაა სახელმწიფო და ფული? შეიტანს თუ არა წარმოების ორგანიზაციაში პრინციპულ ცვლილებებს?და ა.შ. და ა.შ.

აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები იმიტომაა მნიშნელოვანი, რომ ეს პროცესი გლობალური, პლანეტარულია და მის თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ ეხება, დამოუკიდებლად იმისა, მოსწონს და შეგნებულად აცნობიერებს თუ არა მას.

ჩვენი აზრით, მთავარია აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-ტექნოლოგიების გავრცელების გლობალურობის გამო, ეკონომიკაც გლობალურ ხასიათს შეიძენს და მისი თვითრეგულირების ტენდენციაც გაძლიერდება.

ეს საყოველთაო, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგია და რაოდენ სიფრთხილითა და შიშით უნდა ვუცქერდეთ დემოკრატიას, თვითრეგულირებასა და ლიბერალიზმს, დღეს სწორედ ისინი ახასიათებს მსოფლიო ინტერნეტ-ცივილიზაციას და, სამომავლოდაც, ისინი იქნებიან პრიორიტეტული ფასეულობები.

თუ არ გვსურს ჩამოვრჩეთ განვითარებულ მსოფლიოს და წარმატებულთა მდევრის როლში ვიყოთ, აქტიურად უნდა ვებრძოლოთ ყოველივე არასაბაზროს, განსაკუთრებით ბიუროკრატიზმს, მონოპოლიზმსა და ცრუსაზოგადოებრივ სიკეთეებს. ყოველივე ეს, დღეს თუ ვერ შევძელით, მომავალი მაინც გვაიძულებს მის გაკეთებას. თუმცა, საფასური საკმაოდ ძვირი იქნება.

ამიტომ, რეალურად უნდა შევაფასოთ თანამედროვე მსოფლიო განვითარების ტენდენციები და ის რევოლუციური ცვლილებები და სიკეთეები დავინახოთ, რასაც ინტერნეტ-ეკონომიკა სთავაზობს საზოგადოებას, კერძოდ:

მყიდველსა და გამყიდველს შორის პირდაპირი ელექტროინფორმაციული კავშირების გაძლიერება და არსებული არაეფექტიანი საშუამავლო სფეროს თანდათანობითი ლიკვიდაცია;

მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის უშუალო ურთიერთქმედების ფორმების დანერგვა და ამ გზით ტრანსაქციური ხარჯების შემცირება;

საწარმოდან (ოფისიდან) საოჯახო გარემოში წარმოების პროცესის გადატანა. სამომავლოდ მთავარი ეკონომიკური კატეგორია «ჰაუსჰოლდი» გახდება, რაც დღეს არსებულ მრავალ სოციალურ-საწარმოო პრობლემას

მოხსნის ან გავლენის მასშტაბებს შეამცირებს. ესენია: შრომის არაჰუმანური პირობები, კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევა, საპროტესტო გამოსვლები და მიტინგები, ხმაურიანი პროფკავშირები და სხვ. შედეგად, წარმოების პირობების გაუმჯობესების ნაცვლად, ფულადი სახსრები ინტერნეტ-ეკონომიკის მონაწილეთა ოჯახური ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად წარიმართება;

კაცობრიობის ინდივიდუალურ თვითორგანიზაციაზე გადასვლა, როცა ეკონომიკურ საქმიანობაში ინდივიდის ჩასართავად, ინტერნეტში შესვლა იქნება საკმარისი. საყურადღებოა ისიც, რომ წარმოების ინდივიდუალური თვითორგანიზაცია მეწარმეობის საყოველთაობას და წარმოების ორგანიზების თავისუფლებას ნიშნავს;

ინტელექტუალური შრომის კოოპერაციის თანამედროვე ფორმების სიმრავლე მის გლობალურ განსაზოგადოებას, ანუ წარმოების პროცესიდან ადამიანის გამოსვლას და «გარე რეგულატორისა და კონტროლიორის» სტატუსის შეძენასა და დამკვიდრებას განაპირობებს;

კონკურენცია შემოქმედებითი შეჯიბრი ხდება და არასაწარმოო ხარჯები არსებითად მცირდება;

საკუთრებით ურთიერთობებში რევოლუციური გარდაქმნები მიმდინარეობს _ წარმოების ვირტუალური საშუალებები უშუალოდ «ვირტუალების» ხელში გროვდება. ჩნდება ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა სახეობა. წვრილი და საშუალო ბიზნესი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების სოციალური საფუძველი ხდება;

ძლიერდება საკრედიტო, საინვესტიციო, ინოვაციურ და ვენჩურულ სფეროებში ფინანსური რესურსების მობილიზების ოპერატიულობა და გამჭვირვალობა;

საქონლისა და მომსახურების რეალური სამომხმარებლო რეიტინგები ყალიბდება და ა.შ.

მაშასადამე, ინტერნეტ-ეკონომიკაზე საყოველთაო გადასვლა სამ ფუნდამენტურ შედეგს გამოიწვევს, კერძოდ:

ტრანსაქციური ხარჯები მკვეთრად შემცირდება (ზოგიერთ ფირმაში გაქრება კიდეც);

მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო, პირდაპირი ელექტროკონტაქტები დამყარდება;

ადამიანთა სამეწარმეო საქმიანობაში სივრცობრივ-დროითი ორგანიზაცია პრინციპულად შეიცვლება.

ყოველივე აღნიშნული, ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათს არსებითად შეცვლის.

საინტერესოა იმის გარკვევაც, საბაზრო თუ არა ინტერნეტ-ეკონომიკა, ანუ როგორ უწყობს ხელს ინტერნეტ-ტექნოლოგიები მწარმოებლებს შორის კონკურენციას.

ცნობილია, რომ ეკონომიკური კონკურენცია უცილობლად განაპირობებს კონკურენტ-საქონელთა შორის ფასის, ხარისხისა და მომსახურების მიერ შექმნილ სივრცეში მომხმარებლის თავისუფალ არჩევანს. ინტერნეტ-სივრცეში მომხმარებელი საქონლის შეძენის შესახებ გადაწყვეტილებას კი შთაბეჭდილების მიხედვით იღებს, ანუ, «სამომხმარებლო მოთხოვნის მრუდი» «სამომხმარებლო შთაბეჭდილებების მრუდად» გადაიქცევა, რაც არ თავსდება "სამომხმარებლო წონასწორობის» ეკონომიკური თეორიის კლასიკურ მოდელში. ასე რომ, ინტერნეტით დაბალხარისხიანი, ფალსიფიცირებული

და მავნე საქონლის შემენის რისკები არსებითად მაღლდება. აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით, არ არსებობს სათანადო მექანიზმი, რომელიც ინტერნეტს მარკეტინგული ინფორმაციის ოპერატიულობის, დეტალურობისა და სიიაფის თვალსაზრისით შეედრება.

ამგვარად, ინტერნეტ-ეკონომიკის "საბაზროობის" დადგენა ეკონომიკური კონკურენციის «შთაბეჭდილებების კონკურენციით» შეცვლას გულისხმობს. ტრადიციული ბაზრისაგან განსხვავებით, ინტერნეტ-ბაზარი, ანუ ელექტრონული ბაზარი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, სახელდობრ:

ინტერნეტში შესვლის ბარიერების არარსებობის გამო, ელექტრონული ბაზარი დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ყველა კომპანიისა და მომხმარებლისათვის გლობალურად ღია და ოპერატიულად ხელმისაწვდომია. ამ თვალსაზრისით, ინტერნეტ-ბაზარი უნიკალურია, რამდენადაც მის ვირტუალურ სივრცეში კონკურენცია აბსოლუტურად თავისუფალია;

ელექტრონული ბაზარი მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საშუამავლო რგოლების შემცირების რეალურ შესაძლებლობებს (რადგან ინტერნეტი თავად ასრულებს საშუამავლო რგოლის ფუნქციას) ქმნის;

ინტერნეტ-საიტის გამოყენებით, ელექტრონული ბაზარი არა მარტო პროდუქციის ან მომსახურების შეკვეთის, არამედ მისი ნაწილის, ანუ მის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიღების საშუალებას იძლევა;

ინტერნეტ-სივრცეში რეკლამას სხვა ეკონომიკური სფეროებისათვის უცხო და მიუწვდომელი პარამეტრები აქვს, კერძოდ, მომხმარებელთა აუდიტორიას ახასიათებს ინტერაქტიურობა, რაც ნიშანდობლივია მხოლოდ ელექტრონული ბაზრისათვის და მის კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს;

ინტერნეტ-ბაზრის პირობებში მეწარმეთა საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი ძალიან სუსტდება და სხვ.

მაშასადამე, ინტერნეტ-სამყარო გლობალურ ვირტუალურ სივრცეში სრულიად განსხვავებულ და თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებს აყალიბებს, რაც ინფორმირებული მოქალაქეების საბაზრო კავშირებს მსოფლიო თანამეგობრობის მდგრადი განვითარების ტენდენციად აქცევს.

საგულისხმოა ისიც, რომ მრავალ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, ინტერნეტ-ეკონომიკა მრავალ პრობლემასა და სირთულეს წარმოშობს, კერძოდ:

1. რამდენადაც ინტერნეტ-სივრცეში ყველა კომპანია ტრანსნაციონალურია, ეროვნული ეკონომიკების ადმინისტრაციული და ეკონომიკური საზღვრების თანაფარდობის საკითხი თანამედროვე სამყაროს ახალი პრობლემა ხდება. გლობალურ ელექტრონულ სივრცეში ეკონომიკური კავშირების გამო, ეროვნული ეკონომიკის «ღია» ან «დახშული» ტიპისადმი მიკუთვნება სულ უფრო და უფრო ძნელდება. ასეთ პირობებში მისი განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი, ფაქტობრივად, აზრს კარგავს. ინტერნეტ-ეკონომიკური სივრცის «გამჭვირვალობისა» და საზღვრების ღიაობის შედეგად, სატარიფო ბარიერებისა და გადასახადების არსებობა ეჭვქვეშ დგება;

2. ელექტრონული ვაჭრობის ანონიმურობა, გარიგებისთვის თვალყურის დევნების სირთულე და ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთის ფაქტის დაფიქსირების შეუძლებლობა, სახელმწიფო ორგანოებს სრულიად ახალ პრობლემებს უქმნის;

3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინტერნეტი ფულის მიმოქცევას აჩქარებს, რაც დამატებით მონეტარულ სირთულეებს წარმოშობს, რადგან მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რეგულირებისა და ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდაზე ელექტრონული ფულის გავლენის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია.

ამასთან, ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში «ელექტრონული ფულის» დათვლა არაა აუცილებელი. ელექტრონულ ფულს «დამოუკიდებლად ცხოვრება» მხოლოდ გლობალურ ქსელში შეუძლია. ასეთი ფულით საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდა მეტად მოხერხებულია. ასე, რომ ელექტრონული ბაზრის რეალური მასშტაბები საგადამხდელო სისტემების შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, რაც ინტერაქტიული ფორმით ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა. «ინტერაქტიური» ფულის გამოჩენის გამო, მრავალი ახალი პრობლემა ჩნდება: როგორ განისაზღვროს ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა? რომელია მაკროეკონომიკური წონასწორობის პარამეტრი? როგორ ვიანგარიშოთ მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა? და სხვ.

ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, ინტერნეტის გამოყენებით თვით ბიზნესის ღირებულებითი შეფასება მნიშვნელოვნად იცვლება. ტრადიციულ ეკონომიკაში მოქმედი ბიზნესი კომპანიის მომგებიანობის კრიტერიუმით ფასდება, ინტერნეტ-კომპანიის ღირებულება კი ისეთ მაჩვენებლებზეა ორიენტირებული, როგორიცაა, მაგ., «მომხმარებელთა რიცხვის ზრდის შესაძლებლობები», «საბაზრო ღირებულების შეფარდება მომხმარებელთა რიცხვთან», «საბაზრო ღირებულების შეფარდება ინფორმაციულ ბაზარზე მის წილთან» და სხვ.

გარდა ამისა, ინტერნეტ-ეკონომიკის პრობლემების მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ინფორმაციული პროდუქტების წარმოების სისწრაფე და სიიაფე ფასწარმოქმნის მიღებული მექანიზმის დეფორმაციას იწვევს. წარმოების მოცულობისა და ფასის განსაზღვრის ტრადიციული პრინციპი (წარმოების ხარჯების, თვითღირებულებისა და სხვათა მიხედვით) ინფორმაციულ ეკონომიკაში არსებითად მოდიფიცირდება (იცვლება), რადგან პროდუქციის ყოველი დამატებითი ერთეულის წარმოებაზე გაწეული ზღვრული ხარჯები მცირდება. პროდუქციაზე მოთხოვნის გადიდება ფასების მატებას არ იწვევს, ანუ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ტარიფებს არ ცვლის.

შრომის ელექტრონულ ბირჟებზე დასაქმების ახალი ფორმები წარმოიშობა, სახელდობრ, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ვირტუალურ-დისტანციური კავშირები ფორმდება, რამაც «ტელეკომიუტინგის» (telecommuting) სახელწოდება მიიღო. ამჟამად, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებსა და სპეციალისტებს უცხოური კომპანიების ინდივიდუალურ ან ჯგუფურ დავალებებზე მუშაობა საკუთარ ქვეყანაში თავისუფლად შეუძლიათ.

ინტერნეტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პოლიტიკურ ცხოვ-

რებაზეც, რაც უმეტესად, დემოკ-
რატიის განვითარებაში გამოიხატება.

დემოკრატია ხელისუფლების მუშაობის ღიაობასაც გულისხმობს. ცნობილია, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის დახშულობა პარლამენტარიზმის პროგრესულ იდეას უაზრობად აქცევს. სიტუაციიდან გამოსავალია «ინტერნეტ-დემოკრატია», რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიები მჭიდროდ აკავშირებენ ერთმანეთთან მთავრობებს, ბაზრებსა და სამოქალაქო საზოგადოებას.

თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით, აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ხარისხი მაღლდება და მოქალაქეების მხრიდან მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ზეგავლენა ძლიერდება. გლობალური ქსელის პირობებში, სამთავრობო ორგანოებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ასიმეტრიულობის ხარისხი მცირდება.

ინფორმაციული საზოგადოება დემოკრატიის პროგრესულ, პარტიციპატორულ (participate _ მონაწილეობა) მოდელს აყალიბებს და ავითარებს კიდეც, რადგან საზოგადოების წევრები (მოქალაქეები) თავიანთ აზრს თავისუფლად და ღიად აფიქსირებენ, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე აქტიურად ზემოქმედებენ და ამ პროცესების სრულუფლებიანი მონაწილეებიც არიან. მიმდინარეობს ახალი ტიპის, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა, რაც მისი წევრების შეხედულებათა პლურალიზმს გულისხმობს.

დღეს ინტერნეტ-დემოკრატიის სრულყოფილად განხორციელება რამდენადმე შეზღუდულია. მაგრამ მომავალში, ინფორმაციული ტექნოლოგიების საყოველთაო ხელმისაწვდომობის ამაღლებით, დიდი მოცულობის ინფორმაციის ოპერატიული მოპოვებითა და გაცვლის გააქტიურებით, მოქალაქეები მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განხილვასა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში უფრო მეტად მიიღებენ მონაწილეობას.

გარდა ამისა, ელექტრონიზაცია მთავრობაზე ზემოქმედებას, ასევე თვით მოქალაქეებისა და საწარმოების ურთიერთობებსაც გაამარტივებს.

რაც შეეხება მთავრობის ურთიერთობას მოსახლეობასთან, უწინარესად საუბარია, მთავრობის ინფორმაციულ მომსახურებაზე: ელექტრონულ ქსელში სამინისტროებისა და უწყებების ვებ-გვერდების განთავსებაზე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვ.

ელექტრონულ მთავრობას მრავალი განსაკუთრებული თვისება ახასიათებს, რაც შემდგომში მისი საქმიანობის ახალ კონფიგურაციას გამოიწვევს, კერძოდ:

პირველი, ახალი ელექტრონული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად გააუქმებს საზღვრებს სამთავრობო ქვედანაყოფებსა და თვით მთავრობებს შორის, რამდენადაც საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდება მათ მოხმარებასთან მაქსიმალურად მიახლოებული გახდება;

მეორე, ფუნდამენტური ცვლილებები მოხდება თვით მთავრობაშიც, რადგან ელექტრონულ ფორმებთან დაკავშირებული ურთიერთობებისათვის უფრო რაციონალურად ორგანიზებული სამთავრობო სტრუქტურები შეიქმნება.

არსებობს ინფორმაციის ზედმეტად ღიაობის პრობლემაც. მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლამ, რასაც ელექტრონული მთავრობის პროგრესული იდეა გულისხმობს, შეიძლება სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების შესახებ მოჭარბებული ინფორმაციის გავრცელება გამოიწვიოს. ამიტომ, საჭიროა ზომიერების დაცვა. მართალია ელექტრონული მთავრობა დემოკრატიული მმართველობის ახალი, თანამედროვე მოდელია, მაგრამ იგი ყველა მწვავე პოლიტიკური საკითხის ამ გზით გადაწყვეტას არ გულისხმობს. ამ ფორმით შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული ინიციატივების უფრო სწრაფი რეალიზაცია.

ინტერნეტი აქტიურად ზემოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზეც. როგორც ცნობილია, სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური ნიშანია მმართველი ჩინოვნიკების გავლენის რეალური შეზღუდვა და მათზე კონტროლის მექანიზმის შემოღება, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობითა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე მათი გავლენის გაძლიერებით მიიღწევა. ამ თვალსაზრისით, ინტერნეტი სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა განვითარების ლიბერალური მოდელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია. სამოქალაქო საზოგადოება კი, ფართო გაგებით, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, მოქა-ლაქეთა თვითორგანიზაციას გულისხმობს. თუ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპებზე უფლებრივი ჩარჩოებისა და პოლიტიკური სისტემის ლიბერალური მოდელის ჩამოყალიბებაზე იყო საუბარი, ახლა აქცენტები ეკონომიკის მხარეს და, უპირატესად კი, თავისუფალი საბაზრო მექანიზმისაკენ აქტიურად იხრება.

ცვლილებებია მოსალოდნელი მოსახლეობის სამოქალაქო პოზიციაშიც, რაც დემოკრატიის ფორმალური მოდელიდან ე.წ. ციფრულ-ელექტრონულ მოდელსა და კიბერდემოკრატიაზე გადასვლას არსებითად გაამარტივებს. ციფრული დემოკრატია, ფართო გაგებით, დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობის დროს ინფორმაციის ციფრული გაცვლის ნებისმიერი ფორმაა. აღნიშნულით კი სახელმწიფო ძალაუფლების ისეთი ახალი პარადიგმა ყალიბდება, როცა სახელმწიფო არა დომინირებული ძალა, არამედ საზოგადოების მომსახურე სტრუქტურა გახდება.

გარდა ამისა, ელექტრონული მთავრობა კომერციული ოპერაციების წარმართვის უფრო გამჭვირვალე წესებს დაადგენს. იგი ამომრჩევლების წინაშე ორმხრივ კონსულტაციებსა და სამთავრობო ორგანოების უფრო ზუსტ ანგარიშგებიანობას უზრუნველყოფს.

მოცემული პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული თავისებურებაა ქვეყნის ან რეგიონის იმიჯის დადებითი მიმართებით ცვლილება.

სახელმწიფო ორგანოების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მიზნად ისახავს ორი ამოცანის გადაჭრას: უფრო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული

მთავრობის იდეის რეალიზაცია დიდ ხარჯებთან დაკავშირებულია. ამასთან, ხშირად, პროექტები მეტად ძვირია, ხოლო მათი დანერგვის დადებითი მოლოდინი ყოველთვის არ მართლდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის მოქალაქეთა ზრუნვა საერთო საზოგადოებრივ სიმდიდრეზე და ამ უკანასკნელში ბიუჯეტი ანუ ფინანსები მოიაზრება, რომელიც მოქალაქეებისაგან ნებაყოფლობით ან იძულებით ივსება. ამის გამო, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ რამდენი მოგროვდა, რისთვის იხარჯება ეს ფული, როგორია მისი გამოყენების ეფექტიანობა და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ მეტად სასურველი იქნება, თუ რეგიონული ბიუჯეტების ხარჯზე შეიქმნება სპეციალური ინტერნეტ-კომპანიები წვრილი და საშუალო ბიზნესის უფასო მომსახურებისათვის, რაც რეგიონებს სტრატეგიულ კონკურენტულ უპირატესობას მიანიჭებს. კერძოდ, რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ინტერნეტ-ვაჭრობა უნდა გახდეს პრიორიტეტული სფერო. დღეს ინტერნეტით ყველაფრის და ყველგან ყიდვა შეიძლება. რეგიონული ინტერნეტ-მაღაზიების უპირატესობა კი ისაა, რომ მათთან ხელმისაწვდომობა შედარებით ადვილია.

ინტერნეტის როლი აღნიშნულ სფეროში იმაშიც ვლინდება, რომ ჩინოვნიკებს ინფორმაციის გავრცელების სირთულით ოპერირება აღარ შეეძლებათ, რადგან ციფრების განთავსება ინტერნეტში და დაინტერესებული მომხმარებლების მიერ მათი მოძიების პროცედურა მეტად მარტივია.

ცნობილია, რომ ეკონომიკა ერთადერთი სფეროა, სადაც ძველი პრობლემების «გვერდზე გაწევა» და ახალზე ყურადღების გამახვილება შეიძლება. ამასთან, ახალი ტექნოლოგიები ახალი პრობლემებიცაა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ძველ პრობლემებს ჩაენაცვლონ და მათ დამატებად არ იქცნენ.

ინტერნეტ-სფეროს წარმოშობა ნიშნავს, რომ ეროვნული ეკონომიკის დინამიკის შესახებ მხოლოდ მატერიალური წარმოების ცვლილებებით მსჯელობა უკვე აღარ შეიძლება. დღეს ინფორმაციული რესურსები ძირითადი ეროვნული სიმდიდრეა. მათი ექსპლუატაციის ეფექტიანობა კი, სამომავლოდ, უფრო მეტად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას. აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, რომ საქართველოში ყველა დონეზე სასიცოცხლოდ აუცილებელია ინტერნეტ-კომერციის განვითარების სასწრაფო და ქმედითი ადმინისტრაციული მხარდაჭერა და მისი საიმედო სამართლებრივი უზრუნველყოფა.

GURAM JOLIA
DALI SEKHNIASHVILI

INTERNET AND TRANSFORM ATION POLITICAL – ECONOMIC MODEL OF COMMUNITY

S u m m a r y

The article deals a revolutionary changes with the world trends and modern development of the Internet caused. The article discusses the global socio - economic results of the Internet - technology deployment and dissemination.

The article concerns the Internet's influence on the important issues of economy, public political life and civil society formation.